— ისევ დიწყო ელისაბედი.

თიკომ გაეკვირვებოთ მოიბრუნა თავი დღე-საკენ, მაგრამ არაფერი არ უპასუხა.


ელისაბედი მაინც არ ასვენებდა:

— რატომ არ შეტყვი, შეილო? განა არ შე-იძლება ამის კითხვა? იმდენ ხანს ცალკე იყავით, განმარტოვდით, რა გქონდათ ამდენი სალაპარაკო? — დედა, შენც დიოწყე ეგები? აკი მე სრული თავისუფალი ვარ!

— ვინ გეუბნება, მაგრამ, მომიტყევე შეილო. გული ვერ მითმენს. ამიტომ ვერკვი შენს საქმეში.. თორემ აბა როდის იყო... მართალი გითხრა... მგონი მითქვამს კიდევ... ზურაბი მომწონს და... თუ კი რამ სერიოზული იქნება თქვენ შორის... — დედა!..

— ჰო, რა ვუყოთ, შეილო!.. მე ხომ მოხარუ-ლი ვიქნები შენ ნუ მომიკვდე, რომ ზურაბი კარ-გი ყმაწვილია.. იმას დავუთხოვოთ, რომ განათლე-ბული კაცია და ეხლა ხან კარგ ეველიათაც ითვ-

188



ლებს ქართველობაში... გულწრფელი ყმაწვილია. გულ-ლია, მშენებელი...

— კარგია, დედა. არა გრცხვნივია, შენც ზოგირით დღეობრებივით მაქანკლობა დამიწყე?!

— მაქანკლობა რათა, შვილო, მაგრამ მინდა ვიკოდე... რა არის აქ კული... მგონი შენც მოგწონს ზურაბი... მაშ რათ უნდა დამიხმალო...

— მე არაფერს არ ვიპალავ, დედა...

— ჰო და მეც სწორედ ეგ მინდა...

ჩვენ ხომ დედა-შვილი კი არა, ერთი-მეორის მეგობრები ვართ... ამხანაგი ქალები... ყველა ამათ არ გვეუბნება?.. ჰო და მითხარი, შე-საძაგელი... ა? ხომ?

ზურაბმა უკანასკნელი კილო „შენ გეტრფი“—რა კობტათ აუწია და უეცრად კვლავ გაუვლიო მყუდროება ჩამოვარდა. მხოლოდ მგზავრების ფეხის ხმა უხებოდა გარინდულ არე-მარეს.

უკვე სოფლის ორობეგები იწყებოდა. ელისაბედის ძმის, ესტატე-მღვდლის სახლი რამოდენიმე ნაბიჯზე-და იყო. უეცრად ძალღებმა საშინელი ყფა მორთეს.

გამისმა მათარხის ტყლაშური და ჩვენს მგზავრებს საშიოდ ცხენოსანმა გვერდს ჩამოურბინა.

სიბნელეში მინც შეიქნეს, რომ ერთი ცხენოსანთაგანი ადგილობრივი თავადი სიმონიკა არათურელი იყო

მაღე ცხენოსნების სიმღერაც შემოესმათ. მღეროდნენ: „თიკოს ვენაცვლებიო, მაყვალს უფავს თვალეზიო!“

— რა უსინდისოა! — ცოტა ხმა-მაღლა წამოიწყია ელისაბედმა. — რა მაგის საქმეა თიკოს სახელის ხსენება!..

ყველა მიხვდა, რომ ელისაბედი თავად სიმონიკაზე ამბობდა.

— დედა, განა ჩემს მეტს არავის ქვია თიკო? — შესუბრებით მონიღომა უხერხულ მდგომარეობის გამოკეცება თიკომ,

— მართალია! — წარმოსთქვა სანდრომაც. — ამ ლექსს და ქვეყანა იმდროის.

— დიდი მოუსვენარი კია!.. ამოილო ხმა ფაკიამაც.

— თავადია! — ჩაუთოთა ყრუ და ათრთოლებული ხმით ტიტკომ. მან ყველაზე უფრო მწვეკეთ იგრძნო რაღაც ხელთდაუქერელი, მაგრამ მინც შეურაცხყოფა ცხენოსნების სიმღერით.

ყველა უგუნებოთ გახდა. მხოლოდ თიკო რაღაცას მხიარულად ჩაჩუჩუჩულებდა დედა მისს და დედაც თანდათან გამხიარულდა.

შორიდან კი მინც მოისმოდა ცხენოსნების ლალი სიღერა.

მოვიდნენ კიდევ სახლში.

(დასრულება შემდეგ).

ხელოვნება და კრიტიკა.

მ. ჟულაშვიძე.

იყო დრო, როდესაც ხელოვნებაში საზოგადოებრივ განვითარების ტენდენციის მიხედვით, გამეფებული იყო პრინციპი: ხელოვნება ცხოვრებისათვის.

ქართული ხელოვნების ისტორიაში ეს შეხედულება ნაყოფი იყო განსაკუთრებით სამოციან და ოთხმოცდაათიან წლებისა — წლების, რომელთა დამახასიათებელ თვისებას „შავი საზოგადოებრივი მუშაობა“ შეადგენდა.

გამოიკვალა დრო. „შავი, შინაგანი ხალხოსნური მუშაობა დიდებულ სოციალურ განცდათ გაიშალა, — გაიშალა და დამარცხდა იგი განცდა, ვერ იქცა სინამდვილეთ, შეუძლებელი შეიქნა მისი ფორმებში ჩანოსხმა... გაწყდა ხალხის გულასი სიმი, გონება ბურუსმა მოიცვა...“

გამოსავალი არსიდან სჩანდა... ცხოვრება დასმულ კითხვაზე პასუხს ვერ იძლეოდა... პიროვნება მოსცილდა სანამდღავს და ოცნებაში ცხოვრება არჩია... — ხელოვნებაში გამეფდა პრინციპი: ხელოვნება ხელოვნებისათვის.

პრინციპი: ხელოვნება ცხოვრებისათვის ნაყოფია ხალხის ცხოვრებაში იმ ხანისა, როდესაც მისი კარატაკა და შემოქმედებარაჟა მჯდა მიმართულია საზოგადოებრივი ძალთა განვითარება — გამოაშკარავებაზე უმთავრესად.

პრინციპი: ხელოვნება ხელოვნებისათვის ნაყოფია ამ მიდრეკილების უკანდახვეისა, რეაქციისა, საზოგადოებრივ ძალთა მოდუნებისა.

თუ პირველ პრინციპის მთავანებუნელს უნდა ცხოვრებაში, სინამდვილეში გაითქვიფოს, აქ ეძიოს ხსნა, შეგლა, — მეორე პრინციპის დამკველს მთელი თავისი სულიერი სინაწარმებით სურს ამ ცხოვრებას, სინამდვილეს, ტანჯვის მომგვრელს მოსცილდეს და დაიწყება ყოველივეს თავის პიროვნების ტრანსცენდენტში მოუქმებნოს.

პირველი პრინციპის გამოაშვარავება ხელოვნებაში — **ნატურალაზმა**.

მეორე — პრინციპის — ესთეტიური **აფელაზმა** — **მასტაგაზმა**.

ვერც ერთი შეხედულება ჩემს აზრით, ვერ აკმაყოფილებს ნამდვილ ესთეტიურ შეხედულებას... როგორც ერთი ისე მეორე პრინციპი ვანცდება იმ ხანების, როდესაც საზოგადოებრივი **ყოფნა** და **შეგნება** ერთი მეორეზე ძალიან დაშორებული არიან.

რას ჰქვია ხელოვნება ხელოვნებისათვის? ასეთი შეხედულება ხომ ძირითად შინაარსს წინააღმდეგობას წარმოადგენს?

«Не для корысти, не для битв,

Мы рождены для вдохновения,

Для звуковъ сладкихъ и молитв.—

ეს თუ ასეა, მაშინ ხომ გიოტეს პოეზია, ლონ ტოლსტოის შემოქმედება, ნეკრასოვის მუხა უარყოფილ უნდა იქნეს. მაგრამ, ყველამ ვიცით, რომ მათი უარყოფა, უარყოფა იქნებოდა საეკლბორიო კულტურის ერთ დიდ, ძალიან დიდ ნაწილისა. რას ნიშნავს ხელოვნება ცხოვრებისათვის, რომელიც იმ ქოთანს, რომელშიდაც მუსისათვის ლობოი იხარშება ვენერა მოლოსელის და რაფაელის მადონის მშვენიერებაზე ზევით აყენებს უკიდურესი უტილიტარული ხელოვნება? ხელოვნება ცხოვრებისათვის ხომ უარყოფს ისეთ ხელოვნებას, როგორც არიან მაგ. პუშკინი, ჰეინე, რაფაელი, ბოდლერი, ვერლენი და სხვა.

არა, ჩვენ ვერც ერთ პრინციპს ვერ მივიღებთ. უპირველეს ყოვლის ხელოვნურ ნაწარმოების კითხვის, ან კერტის რ სენის დროს ადამიანს სახეში აქვს, — უნდა ჰქონდეს, **მშვენიერება**.

შემოქმედება ხელოვანისა მშვენიერების განხორციელებაა, მისი განსახიერება. მშვენიერება იგი იქნება **სუბაქტის** და **ობაქტის** ერთი მეორეზე გაღვივით. მარტო ხელოვანი რეალობას, სინამდვილეს, ცხოვრებას მოკლებული ვერ შექმნის მშვენიერ ხელოვნურ ნაწარმოებს, ისე როგორც სინამდვილე, რეალობა პიროვნების შემოქმედებრივ ძალას მოკლებული მკვდარი მასალა, თავის თავად შეიძლება ლამაზი, მშვენიერი, სულის დამტკბობი.

ხელოვნება ფორტაგრაფია არ არის; — ხელოვანის შემოქმედება, მისი ესთეტიური განცდა, თუ ის ნამდვილი მხატვარია, თავდება იმისა.

განცდა სინამდვილისა, მისი თავისად ქნა, გრძობა-გუნებაში ვერაოთინება — აი რა აციკროვნებს, ჰუმბს ნამდვილ ხელოვნურ ნაწარმოებს, — აი

რა ქნის მშვენიერებას, საკვრეტად ტკბოს, საოცნებოს...

ხელოვნება არ არის ტრანსცენდენტალური ფორმა რეალობას მოკლებულ შინაარსისა; მას აკოცნებებს, შინაარსს აძლევს უტყუარი სინამდვილე — ცხოვრება ბუნებისა — და საზოგადოებისა — ადამიანისა.

სუბაქტა — ხელოვანი, **ობაქტა** ცხოვრება — რეალობა, — აი საზღვრები მხატვრულ შემოქმედების პრაქცისა, რომელიც ამიტომ უსაზღვროა, და უსაბამო მშვენიერ ფორმებსა მშვენიერ შინაარსისათვის — აი გზა, რომლითაც მიღის მხატვარი-ხელოვანი თავის მიზნის განსახორციელებლათ — სრულქმნილების შესაქმნელად.

უსაზღვროა ობიექტი სინამდვილე, უსაზღვროა განცდა სუბიექტისა-ხელოვანისა, ამიტომ თავისუფალი და უსაზღვროა ფანტაზია, რომელიც სწორეთ აქ იხადება, და სხივქმნილი იგი იწყებს შეუფერებელ ნაფარდას.


სრული თანხმობა სუბიექტისა და ობიექტისა, უკეთესი მთლიანობა შინაარსისა და ფორმის, სინამდვილის და მხატვრულ შემოქმედების — აი ის ელემენტები, რომელთაგან უნდა შესდგებოდეს შინაარსი ესტეტიურ განცდისა, რომელიც, ამიტომ, ყოველ ანტიკურს, ტუანაგნასა მოკლებული უნდა იყოს...

«გარემოების საყვირი, არც მიწისა ვარ, არც ცისა» —

გვეუბნება მხატვარის ბუნებაზე ჩვენი დიდებული მგოსანი ჯაგა; დაიხ, «გარემოების საყვირი», ლამაზი, რომელიც ანათებს ყოველ კუნძულს ცხოვრება-სინამდვილისას — სწორეთ ასეთია ბუნება ნამდვილ ხელოვანისა. თავისუფალი ხელოვნება და არა ხელოვნება ხელოვნებისათვის ან კიდევ ხელოვნება ცხოვრებისათვის და მისი ერთადერთი მიმართულება **რეალაზმა** — აი სინტეზი ადამიანის, მხატვარი-შემოქმედის გრძობა გონების მუშაობისა, ესთეტიურ განცდისა, და უახსენებელი კერტისა. (ჩვენდა სასიხარულოდ, თანამედროვე ქართული ხელოვნება, სწორეთ ამ გზით მიდის, რაც იმის უტყუარი მაჩვენებელია, რომ ყოფნა და შექნება თანამედროვე ქართველობისა დიდ შინაგან მუშაობას განიცდის — უშაობის წინსვლის მომგვრელს). აქ იწყება ხელოვნების კრატავას სფერო

ამამდ, როგორც რუსეთში, ჩვენც არ გვეონია ასეთი კრიტიკა; მას მცენიერული ხასიათი ჰქონდა დასესტობი.

აილეთ რუსეთის ცნობილი კრიტიკოსები: ბე-



ლინსკი, პისარევი, დობროლიუბოვი, შესანიშნავი მოაზრე ჩერნიშევსკი. ხელოვნურ ნაწარმოებში ისინი უმთავრეს ყურადღებას შინაარსს აქცევენ, იქ გამოთქმულ აზრებს, იმას, თუ რა მიმართულების არის მთლოვანი; ფორმა კი ხელოვნურ ნაწარმოებისა მათთვის მეორე ხარისხიდან რასმე შედგენს, რომელზედაც ლაპარაკი მაინცა და მაინც საქირო არ არის,

მათი კრიტიკა სოციალიდაურა, მაშასადამე, შეცნაურულა კრატაგა. ასეთივე იყო, ვიმეორებ, უკანასკნელ ხანამდე კრიტიკა ჩვენშიც—კრიტიკა კტა აბაშიძისა,—ესრად წოდებული „ვეოლოიკონი-ნური კრიტიკა“ და ივ. გომართლისა, თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, ამ ბოლო დროს ორივე სხვა გზას დააღდა....

შეცნაურულა კრატაგა ვერ მიუღება დასაფასებლად ხელოვნურ ნაწარმოებს; სადაც, როგორც უკვე ვთქვით, ფორმას და შინაარსს თანაბარი მნიშვნელობა აქვს, უნდა ჰქონდეს...

ხელოვნებას თავისი ვრიტიკა აქვს,—კრატაგა განცდასა—ესთუკაურა კრატაგა.

ხელოვნების კრიტიკა არ ცმაყოფილდება მართა შინაარსით, ნაწარმოებში ფაქტების აღსუსხვით მხატვარის მიმართულებით.—მას უნდა მთლიანობა ამ შინაარსსა და მის ფორმის შუა, ის სქერტეს დ სტკებმა მხოლოდ ნამდვილ ხელოვნურ ნაწარმოებით, რადგან მას ის განიცდის... და უარყოფს იმ ნაწარმოებს, რომელიც მას ამ განცდას ვერ აგრძობინებს...

ესთუკაურა კრატაგა ეხმარება ხელოვნებას მშენიერების განხორციელებაში, რადგან ამ კრიტიკის წარმომადგენელი თვითონ მხატვარია, თვითონ ხელოვანია იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ მას მხატვრული განცდის გაფორმება არ შეუძლია; ამიტომ ის ხსნას ამ განცდასა...

ოჯაღდა ამბობს: „კრიტიკა თვით არის ხელოვნება... რადგან ვასარჩე ნაწარმოების მიმართ კრიტიკოსი იმავე მდგომარეობაშია, როგორც მხატვარი ფორმათა და ფერაღებათა, ენებათა და აზრთა მიმართ“...

მხატვარი-ხელოვანი და კრიტიკოს-ესთეტიკოსი ერთ და იმავე საგანს უნდა ემსახურებოდენ; ეს საგანი არის—მშენიერება.

ამ მშენიერების ძიებაშია თვით მშენიერება—იგი პროცესია შემოქმედებისა.

„ყოველი ჩვენგანი, ამბობს დიდებული ესთეტიკოსი, ეძიებს მთელი თავისი სიცოცხლე ცხოვ-

რების საიდუმლოებას, მაშ იკოდეთ—ცხოვრების საიდუმლოება ხელოვნებაში“.

ლიბ, ცხოვრების საიდუმლოება ხელოვნებაშია, რადგან ეს უკანასკნელი გაფორმება პირველისა.

ხელოვნება და მისი კრიტიკა ეწვეიან ერთად მძიმე მაგრამ სასაიმოფო უღელს ხელოვნების და ცხოვრების დამყარებისას!—ეწვეიან და უხარიათ, რადგან იციან, რომ „მშენიერება ყველა სიმბოლოთა სიმბოლოა“, რომ, „რადესაც მშენიერება იხსნის თავის პირბადეს, ჩვენ წარმოვიღებმა მთელი სამყარო, მზის სხივებით განბანილი“;—მშენიერება, რომელიც განხორციელებულია ვენერა მილისელის რჩულ ტანში, რაფაელის მაღონაში, მეთოქვენის დიდებულ სიმფონიებში.

თბილისი, 27 მაისი 1913 წ.

ეპრობი მოგზაური

(ბაირონის დაბადებიდან 125 წლ. ვაპო.)

დ. კახრაძე.

I.

ამ ასი წლის წინად, როდესაც რუსეთის ველინდორზე საოკარის სისწრაფით ვდაწყება ბედი ნაპოლენისა, ინგლისის სალიტერატურო პორიონტზე გამოჩნდა აზროვნების ამაყი მხედართ-მთავარი, პოეზიის ნაპოლენი—ლორდ ბაირონი. სწორედ ამ ასი წლის წინად გამოვიდა პირველი ქება მისი „ჩაილდ-პაროლდისა“ და ამ ერთმა ქებამ ბეთლემის ვარსკვლავსავით იწყო ბრწყინვა, თვის შარავანდელში ჩააქსოვა თავისი ამაყი შემოქმედის უკვადვი სახელი. მას აქეთ იგი დღე ერთი უღიდებულსი დღეთავანია მსოფლიო ლიტერატურის სადღესასწაულთა ფურცელთა შორის აღნიშნული.

მაღე ახალგაზნდა მკოსანთ-მხედარის მწუხარე, მელანქოლით სავეს რომანტიული ჰანგები ვაისმა ევროპის ყველა კუთხეში და ახალგაზღვრებამაც ყური სცქვიტა, თითქმის მოუფიქრებლად მიჰკვა მის ჯადოსნურ ძახილს და რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში იგი შეიქმნა მეცხრამეტე საუკუნის პოეზიის დაუშრეტელ შადრევანად, აზროვნების დიად მებუყეთ. მიმდინარეობ: მისგან შექმნილი არის ორიგინალური გამოძახილი თანამედროვე მსოფლ-მხედველობისა, რომელიც შევიძლიან დავახასიათოთ ორგვარი მცნებით: ა) „ფსოფლიო მწუხარებით“ და ბ) ძლიერი პიროვნების კულტი.

ნაღვლით აღსავსე შეხედულება მსოფლიო მსვლელობაზე და უაღრესი რწმენა თავის-თავისადმი, ვითარცა ავტონომიურ პიროვნებისადმი, აი ის საფუძველი, რომელზედაც დამყარებულია მთელი ბაირონიზმის ფილოსოფია, ვთქვა თუ ფსიხოლოგია.

აქვე უნდა შევნიშნათ, რომ თუ ბაირონიზმი მარტო აღნიშნავს „მსოფლიო მწუხარებები“ შეხედულებით, ანუ უკიდურესი ინდივიდუალიზმის ქადაგებით, მაშინ მასში არაერთი ახალი არ იქნებოდა და ჩვენთვის სრულიად გაუგებარი დარჩებოდა ახალგაზრდობის სტიქიური ვატაცება. მართალია, ის საზოგადოებრივი, რომლითაც ბაირონი ჰრთავს თავის გმირებს ამასთანავე დეკარტისთვის მთელი რიგი, სადაც ამ გმირებს ამოკმეფდება, ხშირად აღებულება ჰქონდა მსოფლიო სალიტერატურო საღაროდან, მაგრამ მის დემონიურს სულის კეთების ორიგინალობა უნდა ვეძებოთ მის (ბაირონიზმის) ძირითად ელემენტებში კი არა, არამედ მათს საოკასს ქსოვილებაში: ბაირონიზმი დაამთავრა თავისი საკუნის პესისმისტიური შეხედულება და საოკარი დასკვნანი გამოიყვანა პიროვნების ავტონომიური კულტიდან.

„მსოფლიო მწუხარება“, როგორც ეს ვიციოთ ლიტერატურიდან, გამოიხატა ძლიერი პიროვნების მიერ როგორც ყველაფრის ავტოლფუნება, მოყვარის მტრობა. ამაყი და მეტად ცივი დამოკიდებულება ადამიანთან, ეს ის დამოკიდებულება, რომელ საბოლოოდ თავისთავის უარისყოფაზედაც დააყენა თვითონ მოკმედი, მაგრამ ვერც ძველით; ვერც ქრისტიანთა ეპოქაშია ჩვენ ვერ ვხედავთ ისეთს ანტი-სოციალურ შურის ძიებას ცხოვრების წინაშე, როგორც მე- XIX საუკუნის დასაწყისში, როდესაც ავტონომიურ პიროვნებას თავყენისცემამ თავის საკულმინაციო პუნქტს მიაღწია. აი ეს ფილოსოფია ხელთ დაიჭირა ბაირონიზმი და თავის გმირებს გადასცა.

მუშებრავ სურათებზე გვეჩვენებინან მისი გმირები, რომელნიც უკლებს განდგომილობას პოლადებდნენ, დამოუკიდებლობას, ხშირად შეხედებით მათ შორის ავაზაკებს, მკვლელთ, რომელნიც თანთან დალის სიმძიმის ქვეშ ისრისებინან. აქ გამოსტევიის ბაირონის ცალი მხარე, მხარე, რომელიც გამოჰაბილად გამოისმის იმ ეპოქიდან, რომელშიაც ის დაბადდა. და მართალია: მისი დაბადება თითქმის განგებ საფრანგეთის რევოლუციის ქარიშხალს მოჰყვა. სახელდობრ 1788 წ. ეს გრავინის ხანა თავის მესაიღუმულს: შთაბერის ძლიერ სულს, ჰაბუკი მოწყე ხდება ნაველიონის ეპოპისა და კვდება მაშინ, როდესაც ავტორიტეტობამ და ტრადიციემა გაიბარჯვეს პიროვნებაზე, რომელიც, ნაპოლეონის

მზავსათ, ყოველად შეძლებლად რაცხავდენ თავს-თვით დმტროდაც კი. მაგრამ აი, მთელი ცილი იმ დროინდელი პოემებისა: გაიური (1813 წ.) აბლო-სელი ქალწული (1813 წ.) მეკობარი (1813 წ.) და ლარა (1814), რომელთაც ერთერთთან დიადი კავშირი აქვთ. „გაიური“ იგი მოგვიხიბრობს მხე-ვალის უხედურ სიყვარულზე, რომელიც დასჯი-ლია სიმუნჯით, მხოლოდ იმიტომ, რომ გულს მის-ცა ტრფიალების ფართო საზღვარი. შემდეგ ისმის საყვარელის შურის ძიება, რომელიც ბოლოს გა-მოტყდება, რომ სატრფიალო ქალის დასჯის მიზეზი მხოლოდ ის არის და სხვა არაინ; „აბლოსელი ქალწული“ მოგვახიბრობს იმავე საიდუმლო სიყვარულს, რომელიც დამკრებელი და გასრულია საზარელ დესპოტიზმით; „მეკობარი“ ანუ კოხსარი გვიხატავს თავისუფალ ცხოვრების ზღვაზე. „ლარა“ ეს სვედიაში სახე რაინდისა, წარმოადგენს საიდუმ-ლო დანაშავეს, რომელსაც წყველა და კრულვა დიად ასეია ზედ შუბლზე... ყველა ეს ფაბულები სხვა და სხვა, მაგრამ მათი გმირები დემონიური პიროვნებანი, რომელნიც ახედრებულან მოდ-ესასწაულე დესპოტიზმის წინააღმდეგ, რომელიც ამკირებს თავისუფლებას, ჰქილავს და მიწასთან ას-წორებს ყოველ ადამიანურს ღირსებას. ვინ იცის, იქნებ ლარა სხვა საზოგადოებაში და წრეში რა უსაზღვრო მოსიყვარულე ადამიანი ყოფილიყო, დღეს კი ასე საზარელია, სწორ-უშოვარი დემონი, რომელიც ცეცხლის ლახტებით შურისა სძიობს და წყველილი ქვეყნიერებისადმი.

ჩვენ გვსურს ყველა ის, რასაც სხვებთან ვერ გავინაწილებთ, — ამაზობს იგი კოხსარს პირთ. — თვით ნეტარებაც კი ერთი დესურულეგელი მწუხარება იქნებოდა, რომ მარტო ერთმა განიცადოს... ჩვენი მდგომარეობა წავაგვს მკედრისას, რომელსაც მატლები დახვევიან და იმდენი კი აღარ შეუძლიან, რომ შეარბიოს და ძირს გადაშოფერთოს...“

და აი, ის მოწოდებებს ყველა შურისა სტყობლით, რათა ძლიერნი დაამზონ. მაშ შურის ძიება დიდთა და წვრილთა, რომელნიც გვერდში არ ამოუდგებიან მას, — აი მისი დევიზი.

როგორც ვიციოთ, ინგლისში 1812 წ. ბევრს ქარხანა-ფაბრიკებში აჯანყება მოხდა, მუშებმა მიანგრ მოანგრეს საწარმოო იარაღები, მანქანები და სხვა. მთავრობამ არეულობის ადგილს ვაგზავნა ჯარი, ხოლო ლორდთა პალატაში შეიტანა ახალი კანონ-პროექტი მუშების წინააღმდეგ, არც ერთი დეპუტატი არ გამოსარჩლენია მუშებს, მხოლოდ ბაირონი გებედავს, ჯერ ყრმას, რომელიც ეს-ეს არის, თავის

პოლიტიკურ კარიერას იწყებდა, ხალხის გამოქობამე-
და. იგი წამოდგება თვის საგარძლიდან და სასტიკად
აკრიტიკებს ლორდთა მიერ წამოყენებულს ველურ
კანონ-პროექტს.

ბაირონს არც თუ შემდეგ მოუხვნიდა. პალა-
ტიდან გამოსვლისთანავე მისი კალამი ქარიშხალს
ემზავსება და პამფლეტს პამფლეტს მისდევს, მო-
წმამული სატირა ახალ სატირას. ამ შხრით ბაირონს
ლიახავ რომ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს
და იმ დროის მწერალთა შორის ვერც ერთს ვერ
გვიჩვენებთ, რომელიც მას დიდებაში ეკლებო-
დეს, როგორც ჩინებული სატირიკოსი. არც
სკიფტი, არც სტერნი, არც თუ შერადები ვერ სძლე-
ბენ ბაირონასს და მხატვრული ფერადების გამო-
ძენას, რომ მაღალი საზოგადოების სიკალიერე
დაეხატათ, რომელსაც მხოლოდ ერთი ქორიკანო-
ბა, გრანაბათა სიფუეე, აულავებული დესპოტობა
და გარკვენილება აქვება. სახალე და განსაკუთრე-
ბული სახე ბაირონის მოტივისა ის იყო, რომ ყვე-
ლა ნაწერებში მოსჩანს დაუსრულებელი სვედა, მე-
ლანხოლის შეუყველი ზეწარი და გმირულ სია-
მაყის დემონიზმამდე აღმაღლება. იმის გონება დას-
კილდა კივილიხაკის სულთა დაჯგან, რომელიც
ჰლაპობდა ფერფლიდან აღდგომას, მაგრამ კვლავ
მის წინ იშლებოდა ექვთა ახალი მწუხარება, რო-
მელიც თავის თავს ერთს წყველა-კრულვაში ნთქავდა,
მწუხარე რწმენა, რომელიც კვლავ ურწმუნოების
კვარცხლებიდან უძირო ზღვაში იწიქებოდა.

ამ ექსცენტრიულსა და ნერვიულ პიროვნებას
ოჯახური განსაკუთრებული პირობები ერთი ათად
აღიზიანებდნენ. ბავშობიდანვე იგი მიეჩნეოდა ობლო-
ბას, მას არ მიჰკარებია დედის აღერისი. თვითონ
მშობლებიც არა ნორმალურ ხალხად არიან აღი-
არებელი. ახლა ამას დაემატათ ფიზიკური უკუღმარ-
თობა-სიკოკლე, რის გამოც ბავშვები მასხარად იგ-
დებდნენ მას, შემდეგ ნაადრევი სიყვარული, სტუ-
დენტური ადღეველები ცხოვრება, მეტი თავისუფ-
ლება, სიამეთა სისუყე, უბედო ქორწინება და გან-
ქორწინება, შემდეგ ქორები, საზოგადოებრივი დეე-
ნა, — ყველა ერთად სვედის მანტიას უზმაღებდენ
პოეტის აჯანყებულ სულს.

ქეშპარიტებარ, რად მინდოდა, რომ შენმა სა-
ზარელმა სხივმა გამოაძლივია ისეთი ცხოვრებისათვის,
როგორიც ჩვენია? — კიახულომს მგოსანი ჯერ კი-
დეე თავის სიყრმეში და ამითი თითქმის წინასწარ-
მეტყველებს მთელს თავის ცხოვრების მოწამლულს
მომავალს. დაირღვა ნეტარი სიზმარი, რომელიც
აღარ განმეორდება მისთვის. ცხოვრება და მისი ოც-

ნება ერთმანეთს შეეჯახნენ. იგი ვარდიქნა ნაღლი-
ან მეოცნებეთ, სვედის სკეპტიკად, რომლის სულიც,
მისივე სიტყვით რომ ესთქვათ, მხოლოდ „საბარლო
ნაწყვეტს“ წარმოადგენდა, ნაწყვეტს დაუსრულებე-
ლი პოემისას.

ცხადია, რომ ასეთი სითამამე თავ-აღებული
ქაბუკისა არავისგან იქმნებოდა შეწნარებული. — და
მართლაც: დლიდან გამოსვლისა პოლიტიკურ ასა-
რეზზე პოეტის თავმოყვარობას ლახავენ, ყველა
დასკინის, იმასა სკდილობს, რომ მას როგორმე
აწყენინოს. მაგრამ ბაირონი, როგორც ძლიერი
პიროვნება, რომელიც არავითარ ავტორიტეტობას
ყურს არ უგდებდა, უფრო თამამდებდა, უფრო
მკაცრად ილესებდა მისი ისედაც მკვეთრი კალმის
წვერი, უფრო ქარიშხლის ფრთებს ისხავს, მიდის
მაღლა-მაღლა, რომ ელვის სახით მოველინოს თა-
ვის მეტერ-მოგულებებს, რომელნიც მის კერძო ცხო-
ვრების უბეშიც კი მურდალ ხელს აფათურებდენ
და ათას ცილის წამებით ქვასა და გუნდას ისრა-
დნენ მისი სახელის მოსათხუზნად. მაგრამ არავითარი
დათამობა, არავითარი კომპრომისი, როგორც თვი-
თონ პოეტი ამბობს:

„მელს ეს ქვეყანა, ვით ვეღუვარ მე მას,
მის მისწრაფებას ვერა ვეც თაყვანს,
დაე, კვლავ დამეგონ, ქველ არ მოვიხიბრი,
მეც შევეფურთხებ მათ უმზავეს ყაყანს!..“

ყველასაგან დევნილი, ყველასაგან შეუწყნარე-
ბელი ბაირონი თავს ობლად სთვლიდა, როგორც
ჩვენი ქვეყნის მგოსანი და ბაირონის სულიერი მოძ-
მე ნიკ. ბარათაშვილი. იგიც განიცილდა საშინელ
„სულის ობლობას“. დლითი დლე მისი მელოდიები
უფრო მწუხრი მანდლითი ირთვებიან და ამა, და-
დგება დრო, როდესაც თავ-გასულ ლორდებს აუ-
სრულელებათ წადილი: მათი მეტოქე, მათი დაუძი-
ნებელი მეტერი დროებით ბრძოლის ველს ტოვებს
და მისი სამხედრო ხომალდის აფრა უტპოთისკენ
წასასვლელად აფრიოდდება:

25 აპრ. 1816 წ. ბაირონი ჰშორდება აყევა-
რელ ინგლისს და მჭუმუნარე შუბლით ახალ ქვეყ-
ნების ქარიშხალში ახალ ხმებსა ჰკრებს ახალ პოე-
ზიის ზღვის ასაქოთებულად.

დ. კასრაძე.

(შემდეგი იქნება)

„ოქროს ვერძის“ სალიტერატურო კონკურსი.

ჩვენა რედაქცია მართავს სალიტერატურო კონკურსს საუცუესო მოთხრობაზე და ლეგენდაზე.

ფულის პრემია მოთხრობაზე იქნება დანიშნული — 60 მ.

ლეგენდაზე — — — — — 50 მ.

ფულის პრემიის გარდა დანიშნება ქებითი ფურცლები სამსაძი მოთხრობაზე და ლეგენდაზე პირველი, მეორე, და მესამე ხარისხისა.

კონკურსის წესი.

1. მოთხრობის კონკურსში მონაწილეობა უნდა მიიღონ მხოლოდ იმ ბელეტრისტებმა, რომელნიც სამწერლო ასპარეზე გამოვიდნენ 1900 წლიდან.

ლეგენდის კონკურსში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ყველამ.

2. მოთხრობა თავის ზომით არ უნდა სჭარბობდეს 1000 სტრიქონს და არ უნდა იყვეს ნაკლები 500 სტრიქონისა.

ლეგენდა მიიღება როგორც პროზით, აგრეთვე ლექსათაც დაწერილი. ზომა არ განისაზღვრება.

3. არც მოთხრობა და არც ლეგენდა არსად არ უნდა იყვეს დაბეჭდილი.

4. საკონკურსო მასალა გამოიგზავნება „ოქროს ვერძის“ რედაქციის სახელობაზე დაბეჭდილ კონვერტში, რომელსაც ზევიდან უნდა ეწეროს რამე დევიზი. მეორე კონვერტზე, რომელშიდაც იქნება აღნიშნული ვინაობა ავტორისა, იგივე დევიზი უნდა იყვეს წარწერილი.

5. უკანასკნელი ვადა საკონკურსო მასალის წარმოდგენისა არის 1 ნოემბრისთვის. ამ დღის შემდეგ რედაქცია უარყოფს გამოგზავნილ მასალას.


6. დაჯილდოება მოხდება ქუთაისის თეატრში საზოგადოების თანდასწრებით. დაჯილდოების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

7. დაჯილდოებული მოთხრობები და ლენგდები „ოქროს ვერძში“ იქნება დასტამბული, ავტორების სურათებთან და ბიოგრაფიულ ცნობებთან ერთად.

8. რედაქცია დანიშნავს აგრეთვე ვერცხვადრეულ ხელის მომწერთა პრემიას. ავტორი, რომელსაც ყველაზე მეტი ხმა მოუვა ხელის მომწერლებისაგან, საშუალოდ მიიღებს ქართველი შვილის მიერ გამოცემულ „ვეფხვის“ ტყაოსანს*.

9. ყიულის წევრები კონკურსში ვერ მიიღებენ მონაწილეობას.

ყიუროში მოწვეული იქნებიან ჩვენი გამოჩენილი ლიტერატორები, კრიტიკოსები და აგრეთვე პრესის წარმომადგენელი.



„ოქროს ვერძი“-ს ქრონიკა.

— ჩვენი ჟურნალი ვუძღვა ვოთა რუსთა- ვილის ნომერის გზადვანს.

— ვაცკანში, ნიკოლოზ 5 კაპულაში, აღმოსა-
ნუს მშენებურთა შენახულა ფურცლები გამოსჩნდა მსტე-
რის ფრა ანუელიკოსი.

— გაბრიელ დ' ანუნციომ დასწერა ახალა
ღრამი „პიზუნდელა“.

— გორკის ჩვეულება. თრანგულ გავით „რა-
დაკულაში“ მოკვდილია საინტერესო ცნობა მკისიმ გორ-
კის ჩვეულებასე. თურმე ნიჭიერი მწერალი სხვადასხვა
ფსიხოლოგიურ განცდას, სხვადასხვა მედნით აღნიშნავს
ჭაღალდზე. მაგალითად პაულისის და მომეტრეული გრანსი
პას გამოხატვა ქალაქდზე მხოლოდ წითელი მედნით
შეუძღვია.

— მასხმე ვ. კოროლენკის ნი წელი შეუსრულდა.

— მოსკოველ ჟურნალ „რეს პირ“-ში მოთავსებუ-
ლად სურათება ჩვენი ნიჭიერ რეჟისორის ვ. შალიკა-
ვილის, ჯავახიშვილის ქალისა და ი. ზარდა-
ლიშვილისა. ჟურნალში მოყვანილია შალიკაშვილის სა-
შარა ქართულ თეატრზე.

— ქუთაისის დასის რეჟისორა მ. ქორელი მი-
იწვევს თბილისის ქართულ თეატრში მომავალ სეზონის
რეჟისორად. თბილისშივე მიიწვევს ნ. ჩხეიძის ასული.

— ჩვენი თანამემამულე კ. მარჯანიშვილი მი-
წვეულია მთავარ რეჟისორთა მოსკოვაში ახლად დაარსე-
ბულ „თავისუფალ თეატრში“.

— ნეტურბურგში აქმუბენ „ხელოვნებათა სა-
სახლეს“ რომელშიდაც აქმუბა მოწყობილია დიდი მუ-
ზეუმი.

— რუსმა მწერალმა ა. კუპრინამ დაამთავრა თავისი
მოთხრობა „ჩემი“, რომელიც „სემლია“-ს უხსლოვეს
ნუმერში აქმუბა დაბეჭდილი.

— ზლოთნეთის ცნობილმა მწერალმა კახიშირ
ტიტმაიერმა დასწერა ახალა რომანი, სადაც სკვათა
შორის, ესება ზლოთნელებისა და კნაქელების უთავითობას.

— ქალაქ სტრასბურგში გამთავა გუსტა ბრიო-
ზარის გამოგლევა „დეკამერონის წყარობა—ბოჰაია“
სადაც კლდეკრა ამტკიცებს, რა მოყვანილ ნოველების
მისანარსი მთლათ ხალხის ზეპირ სიტყვეობიდან არის
აღებული, მხოლოდ ფორმა ბოჰაიისით.

— როგორც კადმოკვერენ ჟაითურაში და ზეს-
ტაითონში მრავალი ხალხი დასწრება გრ. რომაქიძის
ლექციას.

ქუთაისში რომაქიმ ლექციას იღია ჭეიჭვ-
ძეზე შემოდგომაზე წაიკითხეს.

მაბათს ზირველ იენისიდან იხსნება სეზონი დ.
ლანხუთში. სეზონის წყობენ ავალავზად მისაზობნი ა.
ლოლუსს ასული, დოდანბერიძის, მურუსიძე, გუგუშვილი,
ჯაყელი, სანიკიძე და სხვა...

— ქუთაისის მისაზობთა ამანავობა 1 იენისიდან
იწვევს წარმოდგენების მართვას ზრეანტიანში. ზირველი
წარმოდგენს გომარობებს დ. ხონში.

რედაქცია კისრულობს პასუხის გაცემას ხელოვ-
ნების, ლიტერატურის და კრიტიკის საკითხებზე.
ვინც საპასუხო მარკებს არ წარმოადგენს პასუხს
ურუნალიში მიიღებს.

აკენტების საუურადღებოთ.

ჩვენ ჟურნალის გამაგრცლებულთ ვაწვევთ,
რამ ანგარაში მათ მხოლოდ ჩვენს განტორას უნ-
და გატყწორონ.

ფოსტა.

არ დაიბეჭდება:

წარმავალი ზღუფური, შეგნების თიგიული და
სხვა... დაქრავს ყამი, ანდერძი, ბულბულა, მუ-
შას, ნუ ნუ წარკვეთ... ახალი შეგნება, ზემდებრი,
მე რს მიყვარდა, მუზას ყოფნის პანგში, ოცნება
იყო (ფტორის ვიზობთ ნუ გამოგზავნის პოემას:
„ამირან და პეტრიწი“), პავლე დიდიძე. არ დაიბეჭ-
დება არც ერთი კორესპონდენცია. ვისაც არა
სურს პასუხი ფოსტით მიიღოს უნდა გამოგზავნოს
საპასუხო მარკები.

შინაარსი:

- ლექსები: გრიშაშვილი, აბაშელი.
- გრ. რომაქიმე—ბარათები.
- ტ. ტაბიძე—ელეზბარი ანდრეევისა.
- ს. კლიაშვილი—ესკიზები.
- შალვა დალიანი—ტყვე.
- მ. წულუკიძე—ხელოვნება და კრიტიკა.
- დ. კასრაძე—ყარბი მოგზაური.
- კონკურსი
- ქრონიკა და სხვა.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯიანი.

